2022 წლის ანგარიში

ჩართე

მიზანი

„ჩართე“ არის საქველმოქმედო პლატფორმა, რომლის მიზანიც არის, ხელი შეუწყოს სოციალურად დაუცველ უფროსკლასელებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში და უზრუნველყოს ისინი ინტერნეტითა და კომპიუტერით.

რატომ

21-ე საუკუნეში ინტერნეტზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ინტერნეტის მიწოდებით მოსწავლეს უჩნდება არა მხოლოდ სწავლისა და განვითარების ულევი შესაძლებლობა, არამედ ეცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ, ეზრდება შესაძლებლობათა ველი, უჩნდება თვითგანვითარების სტიმული, ამბიციები და მიზნები.

როგორ

პლატფორმაზე charte.ge ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაუფინანსოს ინტერნეტი და ლეპტოპი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს. „ჩართეს“ გუნდი მოსწავლეებს უზრუნველყოფს, ასევე, საგანმანათლებლო რესურსებით, ტრენინგებითა და მუდმივი ტექნიკურ-საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

NAIONAL
UNIVBSIT

პრობლემა

დღეს საქართველოში 78,000-მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლეს (აქედან დაახლოებით 20,000 უფროსკლასელს) არ აქვს ინტერნეტი. მათი 95% ცხოვრობს ინტერნეტის დაფარვის ზონაში, თუმცა ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ინტერნეტის საფასურის გადახდას.

გარემო, რომელშიც ასეთი მოზარდები ყალიბდებიან, მათ არ აძლევს ფინანსური, აკადემიური თუ პროფესიული განვითარების შანსს, მისწრაფებების, ამბიციებისა და მიზნების ჩამოყალიბების საშუალებას. ასეთი მოზარდი რჩება დღევანდელი ინტერნეტ რევოლუციის მიღმა. მას არ აქვს წვდომა მსოფლიო ცოდნისა და ინფორმაციის უმთავრეს წყაროზე, დასაქმებისა და კომუნიკაციის უმთავრეს საშუალებაზე. მას არ აქვს საშუალება, მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და სამყაროს განვითარებაში, აითვისოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები და კონკურენცია გაუწიოს თანატოლებს.

დაბალი ინტერნეტ პენეტრაცია აფერხებს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ მთლიან საზოგადოებებსა და ქვეყნებს. ინტერნეტის მომხმარებელთა წილის ზრდა პირდაპირ კორელაციაშია ისეთ ინდიკატორებთან, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის პროდუქტიულობა, საზოგადოებრივი წესრიგი, თანასწორობა და მთლიანობა.

შესაბამისად, იმისთვის, რომ გავზარდოთ როგორც ინდივიდების, ისე ქვეყნის პოტენციალი და კონკურენტუნარიანობა, საჭიროა ინიციატივები, რომლებიც გაზრდის ინტერნეტ პენეტრაციას.

გამოსავალი

„ჩართე“ (charte.ge) ინდივიდებსა და კორპორაციებს საშუალებას აძლევს, რამდენიმე დაწკაპუნებაში **დაუფინანსოს ინტერნეტი და ლეპტოპი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელებს.**

პლატფორმა მარტივი და გამჭვირვალეა. „ჩართეზე“ ყოველთვიურ დონორად რეგისტრაციას რამდენიმე დაწკაპუნება და მინიმუმ 1 ლარი სჭირდება. დონორები თავად ირჩევენ, მათი შემოწირულობის რა ნაწილი დაფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს. ისინი ყოველთვიურად იღებენ გამჭვირვალობის ანგარიშს, სადაც დეტალურადაა აღწერილი პროექტის **თითოეული ხარჯი**, წარმატების ისტორიები და სხვა. პლატფორმაზე აღწერილია თითოეული ბენეფიციარის ისტორია, თითოეული პროექტი, დონორი, პარტნიორი და ხარჯი.

დონორად რეგისტრაციას რამდენიმე დაწკაპუნება და მინიმუმ 1 ლარი სჭირდება.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ინტერნეტისა და ლეპტოპის სრულფასოვნად, უსაფრთხოდ და კრიტიკულად გამოყენება და ონლაინ საგანმანათლებლო რესურსების ათვისება სწავლისა და თვითგანვითარებისთვის, ისინი იღებენ:

- ლეპტოპს;
- ინტერნეტს სკოლის ყოფნის პერიოდში და სკოლის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში;
- წვდომას უფასო და ფასიან ქართულენოვან სასწავლო პლატფორმებსა და რესურსებზე, როგორიცაა „ლინგვინგი“ (უცხო ენების სწავლა), „საბა“ (ელექტრონული ბიბლიოთეკა), „ლუპი“ (მათემატიკა), „ხანის აკადემია“ (სასკოლო საგნები) და code.org-ი (პროგრამირება) და ა.შ.;
- ტრენინგებს მედიაწიგნიერებაში, ფინანსურ და ონლაინ განათლებაში;
- გუნდის მუდმივ ტექნიკურ-საგანმანათლებლო მხარდაჭერასა და მენტორობას.

როგორ მუშაობს პროექტი?

იდენტიფიცირება

სკოლების დახმარებით აღვრიცხავთ ამა თუ იმ რეგიონის თითოეულ სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს

აღწერა

„ჩართეს“ წარმომადგენელი სტუმრობს თითოეულ ოჯახს და რწმუნდება, რომ ის აკმაყოფილებს ჩვენს კრიტერიუმებს

დოკუმენტაცია

საიტზე აღვრიცხავთ თითოეული იმ მოსწავლის ისტორიას, რომელიც ელოდება ჩართვას

დაფინანსება

ჩვენი კორპორატიული სპონსორები აფინანსებენ ლეპტოპებს მოსწავლეებისთვის

არჩევა

ისინი ირჩევენ, მათი ყოველთვიური შემოწირულობის რა ნაწილი დაფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს

რეგისტრაცია

კერძო პირები რეგისტრირდებიან ყოველთვიურ დონორებად და აფინანსებენ ინტერნეტს ან ლეპტოპს

დარიგება

ჩვენ მოსწავლეებს ვურიგებთ ხელმისაწვდომ, ვირუსისგან თავისუფალ, სწრაფ კომპიუტერებს

ჩართვა

პარტნიორი ინტერნეტ პროვაიდერების დახმარებით ბენეფიციარებს ვურთავთ და ვუფინანსებთ ინტერნეტს

მიწოდება

ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები მოსწავლეებს აძლევენ უფასო წვდომას საგანამანათლებლო პლატფორმებზე

ანგარიში

დონორები იღებენ გამჭვირვალობის ანგარიშს დეტალური ხარჯებით, სიახლეებითა და წარმატების ისტორიებით

გაზომვა

ინტერვიუებისა და გამოკითხვების საშუალებით ჩვენ მუდმივად ვზომავთ პროექტის გავლენას მოსწავლეებზე

მენტორობა

თითოეული მოსწავლე ერთვება მენტორობის პროგრამაში და იღებს რჩევებსა და მხარდაჭერას

შედეგები

2022-ში

475
მოსწავლე

961
ახალი დონორი

588,018 ₾
კერძო დონორებისგან

189,519 ₾
ორგანიზაციებისგან

147
დასახლება

20,000
კილომეტრი

1
ჯილდო

Grace Hopper Award 2022

სულ

2080
მოსწავლე

4730
ახალი დონორი

1,699,772 ₾
კერძო დონორებისგან

1,044,763 ₾
ორგანიზაციებისგან

სიახლეები

Google Developer Groups-თან ერთად წამოვიწყეთ საგანმანათლებლო შეხვედრები მოსწავლეებთან.



რატომ ინტერნეტი?

დღეს ინტერნეტის ყველა ფუნქციისა და უპირატესობის ჩამოთვლა შეუძლებელია. ინტერნეტი მსოფლიო ცოდნის უმთავრესი (და ხშირად ერთადერთი) წყარო და კომუნიკაციის, თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ინტერნეტის საშუალებით ვსწავლობთ უცხო ენებს, ვემზადებით გამოცდებისთვის, ვუყურებთ ფილმებს, ვეზიარებით, ვქმნით და ვაზიარებთ ხელოვნებას, თვალს ვადევნებთ მსოფლიო სიახლეებს, ვიგებთ ბუნებრივი კატასტროფების შესახებ, ვყიდულობთ და ვყიდით, ვეძებთ სამსახურს, ვუსმენთ მუსიკას, ვიჩენთ მეგობრებსა და პარტნიორებს, ვმუშაობთ და ვსწავლობთ დისტანციურად და ვმონაწილეობთ ქვეყნის პოლიტიკურ და დემოკრატიულ მოვლენებში.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინტერნეტის გამოყენებასთან ერთად იზრდება მოსწავლის აკადემიური მოსწრება, ვითარდება კომპიუტერული უნარ-ჩვევები, იზრდება სოციალური კაპიტალი, დასაქმებისა და შემოსავლიანობის შანსები. ინტერნეტ პენეტრაციის ზრდა დადებითად მოქმედებს მთლიან საზოგადოებასა და ქვეყანაზეც: ეკონომიკურ წინსვლასა და კონკურენტუნარიანობაზე, მუშახელის ეფექტურობაზე, ტოლერანტობაზე.

აი, ის ძირითადი პირადი და საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ინტერნეტს მოაქვს საერთაშორისო კვლევებისა და გამოცდილების მიხედვით:

პირადი სარგებელი

განათლება

საერთაშორისო კვლევები ადასტურებს დადებით ასოციაციას ინტერნეტის გამოყენებასა და აკადემიურ შედეგებს (როგორც სასკოლო ქულებს, ისე სტანდარტიზებული ტესტების შედეგებს) შორის.

დასაქმებადობა და უნარები

ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომა ავითარებს უნარებს, რომლებიც მომგებიანია სამუშაო ბაზარზე. კვლევების მიხედვით, კომპიუტერი ავითარებს კოგნიტურ უნარებს.

კომუნიკაცია და სოციალური კაპიტალი

ინტერნეტი ამარტივებს გეოგრაფიულად შორეულ ოჯახსა და მეგობრებთან კომუნიკაციას და სოციალური კაპიტალის დაგროვებას.

ხელოვნება და თვითგამოხატვა

ინტერნეტი გვთავაზობს ციფრული კულტურული თუ სახელოვნებო პროდუქციის ყველა ფორმას და გვაძლევს საშუალებას, გამოვხატოთ იდეები, გავაზიაროთ ქმნილებები.

ჯანდაცვა და კვება

რამდენიმე კვლევის მიხედვით ინტერნეტი, როგორც ჯანდაცვის, სწორი კვებისა და ვარჯიშის შესახებ ინფორმაციის წყარო, განსაკუთრებით პოპულარულია მოსწავლეებს შორის.

პროდუქტიულობა და ამონაგები

ფინანსური ამონაგებისა და ანტრეპრენიორული პროდუქტიულობის ზრდის გარდა, ინტერნეტი დაკავშირებულია შესყიდვისა და სამუშაოს ძებნის ეფექტურობის ზრდასთან.

საზოგადოებრივი სარგებელი

ეკონომიკური ზრდა, პროდუქტიულობა და ეფექტურობა

მრავალი კვლევა მიუთითებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე ინტერნეტის გავრცელების ზონის გაფართოვებასა და ეროვნულ ეკონომიკურ ზრდას, პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას შორის.

საზოგადოებრივი თანასწორობა

ინტერნეტი ქმნის ახალ, თანასწორ შესაძლებლობებს განათლებაში, უნარებისა და დასაქმებადობის გაუმჯობესებასა და გენდერულ გაძლიერებაში.

საზოგადოებრივი შეთანხმებულობა

ინტერნეტსა და განათლებაზე წვდომა დადებით ასოციაციაშია მეტ ტოლერანტობასთან, კულტურულ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ მთლიანობასთან, გარემოზე ზრუნვასთან, ქველმოქმედებასთან და კრიმინალური აქტივობის კლებასთან.

პროექტის გავლენა

იმისათვის, რომ გამოგვეკვეთა ყველა ის შესაძლო გავლენა, რომელიც ჩვენს პროექტს ბენეფიციარებზე აქვს, ვატარებთ როგორც სიღრმისეულ ინტერვიუებსა და გამოკითხვებს, ისე დროში განმეორებად კვლევას.

წინასწარი გამოკითხვა + სიღრმისეული ინტერვიუები

დროში განმეორებადი კვლევა

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გაანალიზებულია 282 მოსწავლის მონაცემები. მოსწავლეები იდენტურ კითხვარს ავსებენ ორჯერ - ჩართვამდე და ჩართვიდან 1 წელში.

შეკითხვები ეყრდნობა საერთაშორისო აკადემიური კვლევების ფარგლებში აპრობირებულ კითხვარებს. მოსწავლეებს ვუდგენთ ქულას შემდეგ ინდექსებში:

- აკადემიური თვითშეფასება (ეყრდნობა კითხვარს the School Attitudes Assessment Survey (McCoach, 2002));
- კომპიუტერული წიგნიერება (ეყრდნობა ინდექსებს Self-efficacy in Technology and Science (SETS) და the Computer literacy questionnaire (Son, 2011));
- ინტერნეტზე წვდომა (ეყრდნობა ინდექსს Internet accessibility score (Zilka, 2014));
- ზოგადი თვითშეფასება (ეყრდნობა ინდექსს Rosenberg's Self-Esteem Scale);
- მენტალური კეთილდღეობა (The Short Warwick-Edinburgh Mental Well-being Scale (SWEMWBS) და ზოგადი კეთილდღეობა (the subjective well-being scale (ONS)).

რა უმჯობესდება ჩართვიდან

1 წელიწადში?



აკადემიური
მოსწრება

ონლაინ თვითგანათლების
სიხშირე

კომპიუტერული
წიგნიერება

მენტალური
კეთილდღეობა

აკადემიური მოსწრება

29%

მოსწავლეთა 29%-ს
აქვს უფრო მაღალი
საშუალო ქულა
ჩართვიდან 1 წელში

როგორ შეიცვალა მოსწავლეთა საშუალო ქულა
ჩართვიდან 1 წელში?

საგანი	**ჩართვამდე**	**1 წლის შემდეგ**
ქართული	7.97	8.27
მათემატიკა	7.29	7.59
ისტორია	7.77	8.05
გეოგრაფია	7.93	8.10
ქიმია	7.47	7.72
ფიზიკა	7.34	7.59
ბიოლოგია	7.76	7.93

*მონაცემები მოგვაწოდა 282 მოსწავლემ.
მონაცემთა ნაწილი დადარებულია სკოლებისგან გამოთხოვილ ნიშნებს.

კომპიუტერული წიგნიერება

55%

მოსწავლეთა 55%-ს აქვს
უფრო მაღალი საშუალო ქულა
კომპიუტერული და ინტერნეტ
წიგნიერების კომპონენტში

31%

31% უფრო მარტივად აფასებს
კომპიუტერის მოხმარებას

33%

33%-ისთვის უფრო მარტივია
შეკითხვებზე პასუხების პოვნა ონლაინ

როგორ ვითარდება კომპიუტერული უნარები
ჩართვიდან 1 წელში?

უნარი	**ჩართვამდე**	**1 წლის შემდეგ**
იცის კომპიუტერული პროგრამის დაყენება	54%	78%
იცის პრეზენტაციის აწყობა	71%	84%
იცის ფაილის გაგზავნა ელფოსტით	75%	84%
იყენებს ელფოსტას	52%	78%

ჩვენი გუნდი

„ჩართე“ 2017 წელს „ედუქეარ ჯორჯიამ“ (Educare Georgia) შექმნა. „ედუქეარი“ საგანმანათლებლო ფონდია, რომელიც მიზნად ისახავს, საქართველოში ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მსოფლიო დონის განათლება ინტერნეტისა და ტექნოლოგიების მეშვეობით.

ედუქეარი“ უკვე თითქმის 5 წელია, თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან საგანამანათლებლო პლატფორმებთან, როგორიცაა „ხანის აკადემია“ (Khan Academy) და Code.org. ფონდმა უკვე გააქართულა ამ პლატფორმების საგანმანათლებლო კურსების უმეტესობა - 8 მილიონამდე სიტყვა და 4 ათასამდე ვიდეო ისეთ საგნებში, როგორიცაა მათემატიკა, პროგრამირება, ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია. ხანის აკადემიის პლატფორმას დღეს უკვე ყოველთვიურად საქართველოს მოსახლეობის 25% იყენებს.

ამ საგანმანათლებლო პლატფორმების დასანერგად და პოპულარიზაციისთვის ფონდი ესტუმრა რამდენიმე ასეულ სკოლას რეგიონებში. გუნდისთვის ცხადი გახდა, რომ **მოსწავლეებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ონლაინ რესურსები, არ ჰქონდათ წვდომა ინტერნეტსა და ლეპტოპზე და, შესაბამისად, ვერ იყენებდნენ ამ პლატფორმებს.** შესაბამისად, „ედუქეარმა“ შექმნა პროექტი „ჩართე“.

„ჩართე“ 2017 წლიდან მუშაობს სოციალურად დაუცველ მოსწავლეებთან და დღეს რამდენიმე ათეულ დასახლებასა და 450+ მოსწავლეს მოიცავს, მათ შორის დევნილთა დასახლებებში და კონფლიქტისპირა სოფლებში.

2018 წელს გუნდმა შექმნა „ჩართეს“ ინგლისურენოვანი ანალოგი საერთაშორისო დონორებისთვის, GiveInternet.org. 2020 წლიდან GiveInternet.org-ი არის ამერიკული 501(c)(3) ორგანიზაცია და იზიდავს შემოწირულობებს მთელი მსოფლიოდან.

გიორგი ჯიბლაძე
თანადამფუძნებელი

რუსუდან ჯაყელი
თანადამფუძნებელი

მარიამ მჯედლიშვილი
ოპერაციები

მაია მჯედლიშვილი
პროგრამული უზრუნველყოფა

ნინი ჩარკვიანი
დონორებთან კომუნიკაცია

ირმა გაჩეჩილაძე
სოც. მედია მენეჯერი

თორნიკე გელაშვილი
პროგრამული უზრუნველყოფა

შალვა ბუკია
პროდუქტის დიზაინი

რაზმიკ ბადალიანი
მოსწავლეთა განათლება

ანა ქართველიშვილი
ფინანსური აღრიცხვის მენეჯერი

თამარ ბასიაშვილი
კომუნიკაცია

ჩვენი მხარდამჭერები

პროექტის დაფინანსებაში უმთავრესი როლი ერთგულ კერძო დონორებს აქვთ - ფიზიკურ პირებს, რომლებსაც charte.ge-ზე შემოწირულობას ყოველთვიურად აკეთებენ.

გუნდის მხარდამჭერები 2017 წლიდან: დავით კიღურაძე, ცოტნე ებრალიძე.

მოსწავლეებს ინტერნეტითა და კომპიუტერებით კორპორატიული დონორებიც ამარაგებენ.

კორპორატიული დონორები

zoommer
BDO
ინტეკაგა ჯგუფი
TEGETA ACADEMY
KPMG
tbcpay.ge
TBC INSURANCE
ELIT ELECTRONICS
HUAWEI
insource STAFFING / RESEARCH / ADVISORY
ფონდი პროდემოსი
Glovo
APM TERMINALS
თიბისი ბანკი
giz
CH GROUP
GALT & TAGGART
ICCA
მეიჯერელი
UNDP
NOVA
TEGETA MOTORS
TOURINVEST GROUP
Hilton
AMERICAN FRIENDS of GEORGIA
პაშა ბანკი
ახალი მწვერვალებისკენ. ერთად.
SEA
MAGTI
mastercard
BANK OF GEORGIA
HELIX
EY